

სემინარის განრიგი
Seminar Schedule

October 5, 2015

9:30 - 10:00	ღონისძიების გახსნა ია კუპატაძე - ილიას სახ. უნივერსიტეტი, პროფესორი, არქიტექტორის პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელი Opening Ia Kupatadze, Ilia State University, Professor, Head of Architectural Program
10:00 - 10:45	ალექსანდრე რამიშვილი - ილიას სახ. უნივერსიტეტი, პროფესორი, "SedumArchitects" - არქიტექტორი Alexander Ramishvili – Ilia State University Professor, an Architect
11:00 - 11:45	გიორგი გურგენიძე - "მწვანე მშენებლობის საბჭო საქართველო", ექსპერტი ლევან ნათაძე - "მწვანე მშენებლობის საბჭოს საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი George Gurgenidze - Expert, Green Building Council Georgia; Levan Natade – Green Building Council Georgia CEO
13:00 - 14:00	ანა სერა - BuroHappold Engineering პარტნიორი, მწვანე მშენებლობის ანალიტიკოსი Ana Serra "BuroHappold" Associate BuroHappold Engineering Analytics
14:30 - 15:15	ზაალ ხელაძე - კომპანია "დაგენბახ ლენდსკეიფს" Zaal Kheladze "Dagenbach Landscapes"

გამოფენა + დისკუსია
Exhibition + panel discussion

October 9, 2015

14:00 - 16:30	გამოფენა, პროექტების წარდგენა ჯგუფების მიერ/განხილვა/დისკუსია /კითხვები/ პასუხები Exhibit the projects; Students present their projects
16:00 - 18:00	მწვანე მშენებლობის გარშემო შემაჯამებელი დისკუსია პროფესიონალებთან და სტუდენტებთან ერთად Discussion sustainable issues with professionals/municipality/students

18:00 - 18:30

დაჯილდოება
Award ceremony

მომხსენებლის მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაცია Presenters short Biographical information

ალექსანდრე რამიშვილი - “სედუმარქიტექტორები”

ალექსანდრე რამიშვილი, არქიტექტორი. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. იგი არის არქიტექტურული სახელოსნოს “სედუმარქიტექტორების” დამფუძნებელი. ალექსანდრეს შესრულებული აქვს მრავალი წარმატებული პროექტი, მათ შორის „პასიური სახლი ვეძისში“, „ახალი ტექნოლოგიების ცენტრი“ თბილისში, „მტირალას ეროვნული პარკის დამთავალიერებელთა ცენტრი“. ალექსანდრე რამიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

Alexander Ramishvili - SedumArchitects

Alexander Ramishvili, an architect. Has graduated Georgia Technical University, Faculty of Architecture, Tbilisi, Georgia. Right now works at “Sedum.Architects” – architectural studio.

Alexander has worked on many interesting and successful projects, among which are Passive house in Vedzisi, New Technology Center in Tbilisi, Mtirala Natuional Park Visiting Center in Adjara region. Alexander is a professor at Ilia State University.

ანა სერა - BuroHappold Engineering

ანა სერამ ბაკალავრიატის საფეხური დაამთავრა ნიუ-იორკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგისტრატურის საფეხურზე კი იგი სწავლობდა ბართლეთში, დიდი ბრიტანეთის ლონდონის უნივერსიტეტში სპეციალობით - გარემოს დაცვის დიზაინი და ინჟინერია.

2005 წლიდან ანა სერე არის BuroHappold-ის საინჟინრო მიმართულებით საკონსულტაციო ჯგუფის საბჭოს ნიუ-იორკის ფილიალის ასოცირებული კონსულტანტი. იგი ჩართულია მრავალი “მდგრადი” პროექტის კვლევაში, ცდილობს მაქსიმალურად შეათავსოს მდგრადი ელემენტები მრავალმასშტაბიან პროექტებში მსოფლიოს ბევრ წერტილში. იგი არის მრავალი მაღალი პროფილის პროექტების “მდგრადობის” კონსულტანტი, პროექტირების ჯგუფის წამყვანი წევრი. ამ პროექტებს შორის არის ჰავაის სასწავლო აკადემიის ლაბორატორია, შენობა, რომელსაც აქვს მიღებული Living Building Challenge-ის სერტიფიკატი -- ჯილდო, რომელიც მნიშვნელოვანი და რთული მისაღებია ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის.

ამასთან ერთად ანა არის კორნელის უნივერსიტეტის, კუპერ უნიონის და ნიუ-იორკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. მისი ნამუშევრები გამოფენლია MOMA -ში, გამოქვეყნებულია მრავალ წიგნში და პუბლიკაციაში. მის ნამუშევარს, შერჩეულს როგორც საუკეთესოს, მინიჭებული აქვს ხალხის არჩევანის პრემია.

Ana Serra – BuroHappold Engineering Associate

Ana Serra received a BArch from the New York Institute of Technology, NY, and a Master of Science in Environmental Design and Engineering from The Bartlett, University of London, UK.

Ana is an Associate Sustainability Consultant at BuroHappold Consulting Engineers in NY, since 2005 where she has been involved in sustainability research and the integration of sustainability in projects of all scales, all over the world. She has been the sustainability consultant, and key design team member,

on many high profile projects, among them the Hawaii Preparatory Academy Energy Lab, a net zero energy building and one of only 4 certified Living Building projects.

Ana has collaborated on numerous competitions, including the 2010 Long Island Index Build-a-Better-Burb international ideas competition to retrofit Long Island's downtowns. Her proposal was selected as the winner of the People's Choice Award.

Ana has been a visiting lecturer at NYIT and The Cooper Union and Cornell University. Her work has been exhibited at the MOMA and published in numerous books and publications, including the NY Times.

მწვანე მშენებლობის საბჭო - საქართველო

მწვანე მშენებლობის საბჭო (GBC) არის მწვანე მშენებლობის ევროპის რეგიონალური ქსელის წევრი და მომავალი მსოფლიო მწვანე მშენებლობის საბჭოს წევრი.

ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს მწვანე მშენებლობა საქართველოში, დაეხმაროს საქართველოში არსებულ სამშენებლო სექტორს გაუფრთხილდეს წიაღისეულ რესურსებს, ენერჯიას, ნაკლებად მოახდინონ ნეგატიური გავლენა სამყაროზე.

მწვანე მშენებლობის საბჭო მიზნად ისახავს განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის დანერგოს სასწავლო პროგრამა უნივერსიტეტში, ჩაატაროს ტრენინგები და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები მომავალი თაობისთვის.

Green Building Council Georgia

GBC Georgia is a Georgian national GBC – prospective member of the World GBC and member of European Regional Network of GBCs (ERN). Mission of the GBC Georgia is promotion of sustainable construction and real estate sectors in Georgia. It aims to support low carbon economy and to steward fossil resources

of the country, contributing to energy security of Georgia and mitigation of the climate change and other negative environmental impacts in the globe.

GBC Georgia plans to implement the range of activities, among which are to support universities in curriculum development, operate training centers for Green Building sector professionals and prepare different educational activities.

“დაგენბახ ლანდსკაიპი”

“დაგენბახ ლანდსკაიპი” წარმოადგენს ქართულ გერმანულ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 2013 წელს. კომპანიის ძირითადი მიზანი არის მწვანე არქიტექტურის განვითარება და ხელშეწყობა, ამ მიმართულებით პროექტირება და შემდეგ პროექტის განხორციელება.

ორგანიზაციის “დაგენბახ ლანდსკაიპი” ხელმძღვანელობით შეიქმნა რიგი საინტერესო პროექტები:

- ქ. თბილისში, კარგარეთელის ქუჩაზე „მწვანე ქუჩის“ მოწყობისთვის საჭირო კონცეფცია,
- 95-ე საბავშვო ბაღის ენერგოეფექტურობის პროექტი,
- საქართველოს სამშენებლო სექტორისთვის ეროვნული შემარბილებელი ღონისძიებების (NAMA) მიზანშეწონილობის წინასწარი საექსპერტო კვლევა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკული ფერმერული მეურნეობის განვითარების პილოტპროექტზე დასავლეთ საქართველოში და ბაზალეთის ტბის მიმდებარედ. კომპანიამ ასევე განახორციელა დილიჯანის საერთაშორისო სკოლის ლანდშაფტურ-გეგმარებითი პროექტი, რომელიც დარეგისტრირებულია BREEAM-ის საერთაშორისო მარეგისტრირებლის მიერ, ამავე პროექტს 2015 წელს მიენიჭა IRGA (International Green Roof Award) ”.

Dagenbach Landscapes

Dagenbach Landscapes Ltd is German Georgian joint organization, established in 2013. Dagenbach Landscapes ltd mission is to design and implement sustainable architectural or urban projects in Georgia. Recently the company proposed a Green Street concept for Tbilisi, 95th Kindergarten Energy efficiency improvement concept, International School in Dilijans, which is registered by BREEAM and in 2015 was awarded International Green Roof Award. The company also works on several pilot projects, which implies energy efficiency improvement for farming.